საბჭოთა ხალხის საქმენი და გეგმები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი
№ 291 (13376)

პარასკევი, 10 დეკემბერი, 1965 წ.

ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. (საკუთარი). დღეს დღისით კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. **ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. ნ. ეფრემოვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. ანდროპოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. პ. რუდაკოვს,** როცა ისინი ლოჟებში შემოვიდნენ.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ვ. პეიფემ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ პალატების ცალცალკე სხდომებზე დამთავრდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. კ. ბაიბაკოვმა.**

მომხსენებელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმის პროექტი ერთსულოვნად მოიწონეს სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა. მაგ. წამოაყენეს საყურადღებო. წინადადებანი საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დამატებითი მატერიალური და ფინანსური რესურსების გამონახვისა და მათი წარმოებაში გამოყენების შესახებ.

ნ. კ. ბაიბაკოვმა განაცხადა, რომ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიათა წინადადებანი ბიბლიუ და სელის ქსოვილების, ძროლის პროდუქციის, შუბუქი მრეწველობის ნაწარმის, საათებისა და სხვა საქონლის წარმოებისა და გაყიდვის საგეგმო დავალების გადიდების შესახებ განხილულ და მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. ამ წინადადებათა მიღება და შეტანა სახალხო-სამეურნეო გეგმაში საშუალებას მოგვცემს 1966 წელს მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა 271,4 მილიონი მანეთით გავადიდოთ.

ორატორი შეეხო წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მასალებსა და მოწყობილობაზე სოფლის მეურნეობის ითხოვნენ ერთიანი სრულად უზრუნველყოფას, და აღნიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სამინისტროებმა 1966 წლის გეგმის შესრულების პროცესში უნდა გამონახონ დამატებითი რესურსები, რათა სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას მოახმარონ ისინი.

ნ. კ. ბაიბაკოვმა სესიის მონაწილეებს გააცნო აქ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და თქვა, რომ ყველა ამ წინადადებასა და შენიშვნას ყოველმხრივ განიხილავენ და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ორივე პალატის დეპუტატებმა ცალცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღეს კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ვ. თ. გარბუზოვმა.**

მან თქვა, რომ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ შემოიტანეს წინადადება გადიდდეს ბიუჯეტის შემოსავალი 120,6 მილიონი მანეთით, კერძოდ ბრუნვის გადასახადის ნაწილში ცალკეულ სახეობათა საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის დაზუსტებასთან დაკავშირებით — 81,8 მილიონი მანეთით, საწარმოთა მოგების ანარიცხებისა და სხვა შემოსულობათა ნაწილში — 38,8 მილიონი მანეთით.

ამასთანავე კომისიებმა წინადადება წამოაყენეს გადიდდეს ბიუჯეტის გასავალი 120,6 მილიონი მანეთით. ეს სახსრები მოხმარდება რაიონული ცენტრების კეთილმოწყობას, საავადმყოფოებისა და საკოლამდელო სბავშვო დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას სანატორიუმის ტიპის საკოლამდელ დაწესებულებებში, საკოლა-ინტერნატებსა და სატყეო საკოლებში, მედიკამენტებს.

დეპუტატებმა შემოიტანეს წინადადებანი გამოიყოს დამატებითი ასიგნებანი სამინაო ფონდის და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტისათვის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენისათვის, ქალაქების კეთილმოწყობისათვის. მინისტრმა განაცხადა, რომ ასიგნებანი ამ მიზნებისათვის განსახღვრულია სამბიუჯეტო კომისიათა წინადადების გათვალისწინებით. თუ საჭირო იქნება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეეძლებათ გადიდონ გასავალი მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შესრულების პროცესში მიღებული დამატებითი შემოსავლისა და საკუთარი სარეზერვო ფონდების ხარჯზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს აღძრულ საკითხებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო გულდასმით შეისწავლის და საჭიროა წინადადებებს წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი დროულად ეუწყებათ დეპუტატებს.

დეპუტატებმა ცალცალკე პალატების მიხედვით დაამტკიცეს 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სულ შემოსავლის ნაწილში 105.535.158 ათასი მანეთის და სულ გასავლის ნაწილში 105.393.761 ათასი მანეთის ოდენობით.

შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა კანონი სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. აგრეთვე ერთხმად მიღებულია დადგენილება სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **მ. პ. გიორგაძემ.**

მ. პ. გიორგაძემ წაიკითხა წინადადებანი, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა შემოიტანა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სახალხო კონტროლის ორგანოებად გარდაიქმნა და შეიქმნა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წინადადება შემოიტანა ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს პ. ვ. კოვანოვი.

რამდენადაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ა. ნ. შელეპინმა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მთელი ყურადღება მოახმაროს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მუშაობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წინადადება შემოიტანა გათავისუფლებულ იქნას იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები და დადგენილებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეექვსე სესიის შემდეგ. მიღებულია აგრეთვე კანონი სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა პ. ვ. კოვანოვი.

პ. ვ. კოვანოვმა დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი, იყო მასწავლებელი, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მუშაობდა განსახკომის სისტემაში. დიდი სამამული ომის პერიოდში, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, მოქმედი არმიის ნაწილებში იყო. 1944-1956 წლებში ამხ. კოვანოვი მუშაობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში, 1956-დან 1962 წლამდე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. 1963 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ამხ. კოვანოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გაათავისუფლოს ა. ნ. შელეპინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დღის სხდომა.

მოსკოვი, 9 დეკემბერი. (საკუთარი). დღის 4 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. ნ. ეფრემოვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. ანდროპოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. პ. რუდაკოვს,** როცა ისინი ლოჟებში შემოვიდნენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატთა ჯგუფმა შეკითხვები გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, დღეს სესიაზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დეპუტატი ა. ა. გრომიკო.

მან პასუხი გასცა დეპუტატთა შეკითხვებზე, რომლებიც შეეხება საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს გამოსვლის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდნენ დეპუტატები **მ. თურსუნ-ზადე, ლ. ს. სობოლევი, ლ. ნ. ლენცმანი, პ. ნ. ფედოსეევი და ბ. ე. პატონი.** მათ მოიწონეს საბჭოთა თავრობის საგარეო პოლიტიკა, განაცხადეს, რომ საბჭოთა ადამიანები გულისწყრომით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც იწონებს სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკას იმ საკითხებში, რომლებსაც შეეხენენ დეპუტატები თავიანთ შეკითხვებში და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის მოხსენებაში. მიღებულია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება ვიეტნამის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საღამოს სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი ა. ი. მიკოიანი, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ. მან მიმართა თხოვნით უმაღლეს საბჭოს გაათავისუფლოს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

დეპუტატმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაახასიათა ა. ი. მიკოიანის ცხოვრების გზა, მისი თვალსაჩინო დამსახურება პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, განსაკუთრებით აღნიშნა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა შეიტანა წინადადება აირჩიონ ა. ი. მიკოიანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე პარტიის ცენტრალური კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნინს.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაკმაყოფილა ა. ი. მიკოიანის თხოვნა გაათავისუფლოს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ვ. პოდგორნინი. უმაღლესმა საბჭომ ა. ი. მიკოიანი აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

თავის მოკლე სიტყვაში ნ. ვ. პოდგორნინმ მადლობა გადუხადა დეპუტატებს მაღალი ნდობისათვის, რომელიც მას გაუწიეს. მან განაცხადა, რომ მთელ ძალებსა და ცოდნას მოახმარს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის შესწორებათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	(ზრდა პროცენტობით 1965 წელთან შედარებით)
ეროვნული შემოსავალი, გათვალისწინებული მოხმარებისა და დაგროვებისათვის	— 6,4 პროცენტი
მრეწველობის საერთო პროდუქცია	— 6,7 პროცენტი
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	— 6,9 პროცენტი
მოხმარების საგნების წარმოება	— 6,0 პროცენტი
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი	— 6,3 პროცენტი
ძირითადი ფონდების ამოქმედება	— 6,4 პროცენტი
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	— 7,1 პროცენტი
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	— 4,7 პროცენტი
მშენებლობაში	— 6,0 პროცენტი
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ტვირთბრუნვა	— 7,4 პროცენტი

მუხლი 3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1966 წელს 1965 წელთან შედარებით გადიდდეს:

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	— 6,5 პროცენტით
სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	— 11,4 პროცენტით
სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სბავშვო საკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების რიცხვი	— 10,8 პროცენტით
მოსწავლეთა რაოდენობა გახანგრძლივებული დღის საკოლებსა და ჯგუფებში	— 20,5 პროცენტით
სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში	— 6,0 პროცენტით
მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში	— 7,6 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა	— 17,0 პროცენტით

მუხლი 4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) დააზუსტოს შემდეგში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებანი მრეწველობის მართვის ორგანოების ახალი სისტემის მიმართ, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის 1965 წლის 2 ოქტომბრის კანონით;

ბ) განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წ. 9 დეკემბერი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ანასტას ივანეს-ძე მიკოიანმა თქვენს წინაშე გამოსვლაში ითხოვა გაათავისუფლოთ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ამავე თხოვნით, როგორც უკვე თვითონ მოგახსენათ, ამხანაგმა მიკოიანმა მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს. როცა ეს საკითხი განვიხილეთ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და ცენტრალურ კომიტეტში, დავეთანხმეთ ანასტას ივანეს-ძის თხოვნას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც დაკმაყოფილებენ ამხანაგ მიკოიანის თხოვნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

ამხანაგებო! ანასტას ივანეს-ძე მიკოიანმა, რომლის დაბადების 70 წლისთავი ამ ცოტა ხნის წინათ აღვნიშნეთ, ჩვენს პარტიაში დიდი გზა განვლო. იგი ერთ-ერთია იმათგან, ვისაც ხვდა ბედნიერება ძალიან ადრე დაეწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა პარტიის რიგებში. მან თავისი წვლილი შეიტანა პარტიის ბრძოლაში ოქტომბრისა და სამოქალაქო ომის დროს, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების წლებში, იგი დღესაც მონაწილეობს ჩვენთან ერთად კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ამ წლების მანძილზე ანასტას ივანეს-ძეს მოუხდა ბევრ პასუხსაგებ პასახნო ყოფნა, სადაც მას პარტია გზავნიდა. იგი იყო საგუბერნიო და სამხარეო პარტორგანიზაციების ხელმძღვანელი, ვაჭრობის, მომარაგების, კვების მრეწველობის სახალხო კომისარი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი, დიდი სამამულო ომის წლებში იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. მრავალ წელს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევამდე, იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ანასტას ივანეს-ძე მიკოიანს მიგვართავთ მადლობის სიტყვებით იმ ნაყოფიერი მუშაობისათვის, რაც მან გასწია უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

მინდა დავძინო, რომ, როცა რეკომენდაციას იძლევა დაკმაყოფილდეს ანასტას ივანეს-ძე მიკოიანის თხოვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამავე დროს შემოაქვს წინადადება ავირჩიოთ ამხანაგი მიკოიანი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ყოფნის დროს ანასტას ივანეს-ძე კიდევ ბევრ სასარგებლო რამეს გააკეთებს ჩვენი საერთო საქმისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ცენტრალური კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა ავირჩიოთ ამხანაგი ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნინი. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი კარგად იცნობენ ამხანაგ პოდგორნინს როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ თვალსაჩინო პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს. ვფიქრობ, საჭირო არ არის გიამბოთ აქ ბიოგრაფია ან მივცე მას დაწვრილებითი დახასიათება. მისი აქტიური მუშაობა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტზე კარგად ცნობილია ჩვენი პარტიისა და ხალხისათვის. მინდა დავძინო, რომ ნიკოლოზ ვიქტორის-ძე როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრიც დიდ მუშაობას ეწეოდა ჩვენი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის საქმის განმტკიცებისათვის.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გამოვთქვა იმედი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მხარს დაუჭერენ რეკომენდაციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნინის არჩევის შესახებ. **(ხანგრძლივი ტაში).**

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ნ. ვ. პოდგორნინის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ნიკოლოზ ვიქტორის-ძე **პოდგორნი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
ი. ნასრიდინოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წ. 9 დეკემბერი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ა. ი. მიკოიანის განთავისუფლებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად მისი არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს ამხ. ანასტას ივანეს-ძე **მიკოიანის** თხოვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

2. არჩეულ იქნას ამხ. ანასტას ივანეს ძე **მიკოიანი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წ. 9 დეკემბერი.

ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

დაბადდა 1903 წლის 18 თებერვალს მუშის ოჯახში, უკრაინელია, სკკპ წევრია 1930 წლიდან, განათლება უმაღლესი — 1931 წელს დაამთავრა კიევის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა 1917 წელს დაიწყო. მუშად იყო მექანიკურ სახელოსნოებში. 1921-1923 წლებში კომკავშირულ საქმიანობაზე იყო პოლტავის ოლქში, ხოლო შემდეგ, 1926 წლამდე, სწავლობდა ქალაქ კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუშფაკში. 1931-1939 წლებში მთელი რიგი შაქრის ქარხნებისა და ტრესტების ინჟინერი, მთავარი ინჟინრის მოადგილე და მთავარი ინჟინერია.

1939-1940 წლებში და 1944-1946 წლებში უკრაინის სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეა. 1940-1942 წლებში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეა. 1942-1944 წლებში მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორია.

1946-1950 წლებში უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელია სსრ კავშირის მთავრობასთან. 1950-1953 წლებში უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია. 1953 წლიდან უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანია, 1957 წლიდან კი — პირველი მდივანი. 1963 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

1952-1956 წლებში სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრია, 1956 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატია 1958-1960 წლებში, პრეზიდიუმის წევრია 1960 წლიდან. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ხოლო შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრია 1953 წლიდან.

სსრ კავშირის მეოთხე-მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ნ. ვ. პოდგორნინს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 94.406.877 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 92.230.014 ათასი მანეთის ოდენობით გასავალზე შემოსავლის 2.176.863 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1965 წ. 9 დეკემბერი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიათა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 105.535.158 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 105.393.761 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 141.397 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგ. ნ — სულ 96 649.595 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად—მძიმე მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 43.846.204 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის: საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 40.378.846 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 11.222.147 ათასი მანეთი.

მუხლი 5 დაწესდეს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი ქვეყნის თავდაცვისათვის 13.430.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის შესანახავად 1.820.582 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7 დამტკიცდეს 1966 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 49.398.808 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 49.252.411 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 141.397 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 57.318.356 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

	(ათასი მანეთი)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	32.985.866
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	9.870.955
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.842.343
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.950.537
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.989.887
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	993.937
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	994.245
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	838.650
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	576.290
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	614.332
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	580.991
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	530.704
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	638.318
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	480.670
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	430.681

მუხლი 9. დამტკიცდეს 1966 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფსრ — 31,0 პროცენტი, უკრაინის სსრ — 39,4 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 67,6 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 98,2 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 92.5 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 99,6 პროცენტი, ლიტვის სსრ — 87,5 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 42,6 პროცენტი, ლატვიის სსრ — 20,2 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 88,3 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 100 პროცენტი, სომხეთის სსრ — 96,3 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 56,9 პროცენტი;

ბ) 1966 წლის 3-პროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი;

გ) უზბეკეთის სსრ და სომხეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტებში მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან — 100 პროცენტი.

1966 წლის საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოს ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 1.028.320 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 49.925 ათასი მანეთი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 98.761 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც კოთვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმით.

მუხლი 10. დაეკალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანოს დაზუსტებანი, რომლებსაც საფუძველად უდევს სსრ კავშირის 1965 წლის 2 ოქტომბრის კანონი „მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ", და შესაბამისად შეცვალოს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავალი და გასავალი;

ბ) განიხილოს სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიათა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში. აგრეთვე დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.

1965 წ. 9 დეკემბერი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციის გამო, რომელიც გაეცნო ინტერესად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეკითხვებისა ზოგიერთი საგარეო პოლიტიკური საკითხის შესახებ

განიხილა რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია, რომელიც გაეკეთა პასუხად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიის მიმდინარეობის შესახებ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის სამთავრობო განცხადების შეფასებისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციის მოწვევის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკა იმ საკითხებში, რომლებიც აღძრულია დეპუტატთა შეკითხვებსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს ინფორმაციაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1965 წ. 9 დეკემბერი.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ

შემოწმებისა და კონტროლის საქმეში მშრომელთა ფართოდ ჩაბმისა და საკონტროლო ორგანოების მუშაობაში მათი როლის ამაღლების მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. გარდაიქმნას პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სახალხო კონტროლის ორგანოებად.

მუხლი 2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოებია სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები, სახალხო კონტროლის სამმართველო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აგრეთვე სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებთან, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და ჯარის ნაწილებში.

მუხლი 3. სახალხო კონტროლის ორგანოები მოქმედებენ იმ დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1965 წ. 9 დეკემბერი.

კავშირის საბჭოში

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

(თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! განვიხილავთ რა უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს, ამავე დროს ვაჯამებთ 1965 წლის მუშაობის შედეგებს.

1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც გუშინ ძოკვანილი იყო ამხანაგების ბაიბაკოვისა და გარბუზოვის მოხსენებებში, დამაჯერებლად მოწმობენ, რომ შვიდწლედის უკანასკნელი წელი იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის წელი. წარშანდელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა თითქმის 10 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიდი ღონისძიებანი, რომლებმაც უკვე წელს მოგვცა დადებითი შედეგები. საყოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი წარმატებანი, რომლებსაც ჩვენმა მეცნიერებამ მიაღწია. რეალიზებულია დიდი ღონისძიებანი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სავსებით სამართლიანად ვამაყობთ ამ დიდი მიღწევებით და ამასთან არ ვიუფუებთ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში და რომელთა შესახებ გუშინ მოახსენეს სესიას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამ სესიაზე ცუდი მაჩვენებლებით როდი მოვიდა. მრეწველობის საერთო პროდუქციის გეგმა მიმდინარე წლის 11 თვეში 101,3 პროცენტით შესრულდა. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გაანგარიშებით სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1965 წელს 1964 წელთან შედარებით 12-13 პროცენტით გაიზრდება. ამასთან ყველაზე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, ქიმიური, კვების და სხვ. ახალი სიმძლავრეები ამუშავდა შავ მეტალურგიაში, ქიმიურ, მსუბუქ და კვების მრეწველობაში. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდება.

ძიუხედავად ამისდა, რა ხელსაყრელი პირობებისა, რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა ბეჯითი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. წარმატებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კარგი მაჩვენებლები რესპუბლიკას უკანასკნელ წლებში არა ჰქონია. მეჩაიეებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 185 ათასი ტონის ნაცვლად. მთლიანად შვიდწლედში გეგმის გადამეტებით მიღებული 130 ათასი ტონა ჩაი. ყურძნის შესყიდვის გეგმა შესრულდა 106.3 პროცენტით, სახელმწიფოს მიეყიდა 244 ათასი ტონა ყურძენი. მარცვლეულის შესყიდვის გეგმა შესრულებულია 101,6 პროცენტით. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, კვერცხის, კარტოფილის, ბაჩჩიეული კულტურების, ხილის, შაქრის ჭარხლის, ციტრუსებისა და სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმები.

რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს წყალსამეურნეო მშენებლობა. მიმდინარე წლის 10 თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1967 წელს დამთავრდება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის აგება. ეს სისტემა უზრუნველყოფს საგარეჯოსა და ლაგოდეხის ნაკვეთებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების მორწყვას 39 ათას ჰექტარ ფართობზე. დაიწყო რესპუბლიკაში ყველაზე დიდი და ყველაზე ეფექტიანი ზემო ალაზნის საირიგაციო სისტემის მშენებლობა. მარტო მისი პირველი რიგის ამუშავება საშუალებას მოგვცემს მოვარწყავთ კახეთის 40 ათასზე მეტი ჰექტარი ნაყოფიერი მიწები, რომლებზეც გაშენდება მაღალხარისხოვანი ჯიშების ვაზი, ხეხილის ბაღები, ძვირფასი ტექნიკური კულტურები.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმის ბაზაზე და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში მიღწეულ დადებით შედეგებთან ერთად რესპუბლიკაში მოლიანად არ არის გამოყენებული არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი. ყველა საწარმო როდი ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, არის მათ შორის ჯერ კიდევ არარენტაბელური, ზარალიანი საწარმოები. მთლიანად ვერ სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები, თუმცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესრულებულია 17 პროცენტით მეტი სამუშაოები. მიმდინარე წელს ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა ბევრ ობიექტზე ვერ შესრულდება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბაიბაკოვის მოხსენებაში სანინამ მშენებლობის ხაზით ჩამორჩენილთა შორის დასახელებულია საქართველოს სს რესპუბლიკაც. ეს კრიტიკა სავსებით სამართლიანია, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს სანინამ მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გეგმა შესრულდება.

მშენებლობაში ჩამორჩენის მთავარ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ პირველ რიგში სამშენებლო სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სერიოზულ ნაკლოვანებებს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკა მოწმობს, რომ სრულყოფილი არ არის ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივები, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იყენებს საშენი მასალების გამოყოფის დროს. ეს ნორმატივები არ თვალისწინებენ თანამედროვე პროექტების მოთხოვნებს, რომლებითაც შენდება სამრეწველო, საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საგანმანათლებლო. სავაკრო, სასპორტო და სხვა ნაგებობანი. როგორც წესი, ისინი გადაწყვეტილია მონოლითში ან ასაწყობ კარკასში და მოითხოვს მასალების, განსაკუთრებით ლითონის, ცემენტის, სავიტრინე მინის, თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალების გადიდებულ ხარჯვას.

ძალზე ცუდად არის დაყენებული მშენებლობათა მატერიალური უზრუნველყოფა კაპიტალდაბანდებათა არაცენტრალიზებული წყაროებიდან. აქ საერთოდ არავითარი საინგარიშო ნორმატივები არ არსებობს, და ფონდებს გამოყოფენ არსებული მასალების მიხედვით. მაგალითად, 1966 წელს რესპუბლიკას დაეკვლის დაახლოებით 25 ათასი ტონა ცემენტი და რამდენიმე ათასი ტონა ლითონი. წლითიწლობით არ სრულდება რესპუბლიკის მშენებლობებისათვის ხე-ტყის მასალების მიწოდების გეგმები.

მარტ 1965 წელს ნოვოსიბირსკის, კრასნოიარსკისა და მთელმა რიგმა სხვა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა რესპუბლიკას დაეკვლეს 180 ათასი კუბური მეტრი საშენი ხე-ტყე. რაც შედგენს წლიური ფონდის 81,5 პროცენტს. ამას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა კაპიტალდაბანდებათა გეგმის შესრულებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოებასა და დროზე მიწოდებას მშენებლობებისათვის. განსაკუთრებით ასამუშავებელი ობიექტებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ შენებისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი ობიექტების რიცხვიდან, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა ამოქმედდეს, თითქმის მესამედი უზრუნველყოფილი არ არის კომპლექსური ტექნოლოგიური მოწყობილობით. ამავე მიზეზით მიმდინარე წელს 30 ობიექტის მშენებლობის დამთავრების ვადები გადატანილია 1966 წლისათვის.

ასეთ მდგომარეობას მოწყობილობის მიწოდების მხრივ რა თქმა უნდა, საერთო არა აქვს რა მეცნიერულად დასაბუთებულ დაგეგმვასთან. სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის იმის გამო, რომ ახალი საწარმოები დროზე ვერ დგება მწყობრში. ამის შედეგია საწარმოო სიმძლავრეთა ნელი ათვისება და კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის შემცირება.

მშენებლობათა და საწარმოთა დროზე და სრულად უზრუნველყოფა საჭირო მასალებითა და მოწყობილობით. მშენებლობის წარმატებით წარმოებისა და მრეწველობის ნორმალური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

უნდა ვიფიქროთ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და ახლად შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი უკვე 1966 წელს მკვეთრად გამოსწორებენ მდგომარეობას სამეურნეო საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში.

ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოტანილი სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა ბევრ ობიექტებზე ითვალისწინებს ადგილობრივი მრეწველობის ნარმოების ზრდის ტემპებზე.

სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება. გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების განვითარების გადიდებული ტემპები, გამოყოფილია საკმაო სახსრები ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციისათვის. მნიშვნელოვანი მოცულობით ინარმოებს სახანინო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა. გათვალისწინებულია საკრო ასიგნებანი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მაგრამ არის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც მოითხოვენ დამატებით განხილვასა და გადაწყვეტას სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში. კერძოდ, რესპუბლიკის 1966 წლის ბიუჯეტი არ თვალისწინებს საკმაო ასიგნებებს ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის, სახანინო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენისათვის. ვფიქრობ, ეს საკითხები ეხება სხვა რესპუბლიკებსაც. და ეს საქმე უნდა გამოსწორდეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო დადგენილება ხილეულობსტანეულის კონსერვების ერთიანი ახალი საცალო ფასების შემოღების შესახებ და გადაწყვიტა ახალი ფასების შემოღებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგები ანაზღაურდეს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით. საქართველოს სსრ ბიუჯეტის დანაკარგი, წინასწარი გაანგარიშებით, შეადგენს დაახლოებით 5 მილიონ მანეთს. მინდა მოგახსენოთ, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის ამ თანხის ანაზღაურება ძალიან ძნელი იქნება.

როგორც ცნობილია, მრეწველობის მართვის ახალი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკებში, შეიქმნა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, რომელთა ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი ნედლეული და წარმოების ნარჩენები, ყოველი ღონისძიებით გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. ამ საწარმოთა მუშაობას აქვს თავისი სპეციფიკა და თავისებურებანი, რომლებიც არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ. ამიტომ სასურველი იქნება ადგილს ის ეკონომიური შეღავათები და სტიმულები, რომლებითაც ისინი წარსულში სარგებლობდნენ. ეს საშუალებას მისცემს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს უკეთ გაართვან თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

ამ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბაზის განმტკიცებისათვის. ამუშავდა ახალი სიმძლავრეები მიდრო-თბოელექტროსადგურებზე; გადიდდა ორჭონიკიძე-თბილისის გაზსადენის გამტარუნარიანობა, და ამჟამად მთავრდება გაზსადენის მეორე ხაზის მშენებლობა. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა უზრუნველყოფილ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნორმალური მომარაგება სათბობითა და ელექტროენერგიით.

ამჟამად საქართველოს სს რესპუბლიკაში შენდება დიდი მიდროელექტროსადგური — ენგურჰესი, რომლის სიმძლავრე 1600 ათასი კილოვატი იქნება და ელექტროენერგიის საერთო გამომუშავება 5 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი. იგი შეიძლება ამუშავდეს მხოლოდ 1970 წელს. 1967-1968 წლებში რესპუბლიკაში შეიძლება ჩარმოიშვას ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი, რაც შეაფერხებს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. აგრეთვე ჩაშლის მსხვილ საწარმოთა ნორმალურ მუშაობას. ელექტროენერგიით მომარაგებაში შესაძლო სიძნელეთა თავიდან აცილების მიზნით უახლოეს წლებში უნდა დაეწყოთ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოება და ახალი ელექტროსადგურების შენებლობა. ისეთნაირ, როგორიც არის ყინწვალისი, ნამახვანჰესი და მთელი რიგი სხვა ელექტროსადგურები. სასურველია 1966 წელს დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები ყინწვალისის მშენებლობისათვის, რათა 1967 წლიდან დაიწყოთ ძირითადი სამშენებლო სამუშაოები. ყინწვალისის მშენებლობა, ენერგეტიკული ამოცანების გარდა, წყვეტს თბილისს-რუსთავის სამრეწველო კვანძის წყალმომარაგებისა და თბილისის რაიონში 15 ათასამდე ჰექტარი ნაყოფიერი მიწების მორწყვის პრობლემას.

ამხანაგო დეპუტატებო! მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXIII ყრილობას. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, იბრძვიან შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. საქართველოს უძველესი საწარმოს — ჭიათურის მარგანეცის მაღაროების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებები და წარმატებით დაიწყოს ახალი წელი. ამ ღირსეულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭერა მხარი რესპუბლიკის ყველა მშრომელმა. შეიძლება ექვი არ ვიქონიოთ, რომ 1966 წელი — ხუთწლედის პირველი წელი აღინიშნება საბჭოთა ხალხის ახალი დიდი გამარჯვებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობების ყველა დარგში.

